ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 189/01
08/01/2020

189-01-2-202001081523

შპს ,,კარგო პარსელს"

მის: ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, წყნეთის
გზატკეცილი N2, ბლოკი A, ბინა 10

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 16 დეკემბრის N18382 წერილით წარმოდგენილი ქ. ბათუმში, ქიმიური პროდუქტის (კარბამიდი) საცავის (მშრალი ტვირთების ღია სასაწყობო მეურნეობის) მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი საქმიანობისათვის შერჩეულ ტერიტორიაზე განხორციელდა არსებული ძველი (6 ცალი) რეზერვუარის და სხვა საწარმოო ინფრასტრუქტურის დემონტაჟი, ხოლო მიწის ნაკვეთი კონკურსის პირობებით გაიყიდა და გადაეცა შპს ,,კარგო პარსელს", სკრინინგის განცხადებაში მითითებული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს 2009 წლის 30 იანვარის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით №12 განსაზღვრული სანებართვო უბნების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს (ნავთის უბანი). აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის "კომპლექსში შემავალი უბნების (ე.წ ნავთის უბნის) სანებართვო სტატუსი;
- საპროექტო უბანზე არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ერთეულების შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის" და შპს ,,კარგო პარსელის" ფლობის და პასუხისმგებლობის გადანაწილების საკითხები. საერთო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში მათ შორის მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- რა ვადით მოხდება ქიმიური პროდუქტის (კარბამიდის) დასაწყობება ამ მიზნით გამოყოფილ ტერიტორიაზე;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულ 4.1.3 ცხრილში მითითებულია: „ეკოლოგიური ასპექტები ახალი სარეზერვუარო პარკის ექსპლუატაციის ტექნოლოგიური ოპერაციების დროს", რაც არ შეესაბამება პროექტით განსაზღვრულ საქმიანობას და საჭიროებს დაზუსტებას;

- დაზუსტებას საჭიროებს კონკრეტულად ქიმიური ნივთიერებისათვის (კარბამიდის) გამოყოფილი საცავის ჯამური მოცულობის შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 29-ე პუნქტის მიხედვით 1 000 m^3 ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და სამინისტროში სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას;
- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს კარბამიდის მიღების სრული ტექნოლოგიური სქემა, კერძოდ: შპს „კარგო პარსელის“ ტერიტორიაზე სასაწყობო მეურნეობაში დროებითი განთავსების მიზნით საიდან მოხდება სარკინიგზო ვაგონებით კარბამიდის შემოტანა.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე